



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N2

ქ. მარნეული

13.01.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი, რაგიმ ასკეროვი, რაფიკ ჯაფაროვი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რამიზ გიულმამედოვი, გივი ქველაძე, არსენ ახვერდიანი, ელხან მუფტიევი

არ ესწრებოდა:

- რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ისმაილ ბაირამოვი, ჯომშუნი ზეინალოვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით აროშიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **-ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 09 იანვრის N22-03 მოხსენებითი განხილვის შესახებ.
3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორეს ქ. N5“ -ზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლმა დავით აროშიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამოითქვა შენიშვნა მოხდეს დევნილების და იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან სტუდენტების დასაფინანსებლად ქულების ამოღება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N07. 13.01.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 12 იანვრის N03/351 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 09 იანვრის N22-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 1500 ლარის გამოყოფა გინესის რეკორდსმენის ეთიბარ ელჩივისათვის, ქალაქ მარნეულში გასამართი ღონისძიების დასაფინანსებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N05. 13.01.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 13 იანვრის N03/367 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2017 წლის 13 იანვრის N65-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, გააკეთა განმარტება იმის შესახებ, რომ აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული საკრებულოს სხდომაზე, მაგრამ რიგი უზუსტობების გამო არ მომხდარა მისი დამტკიცება. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება დასამტკიცებელ ნახაზს და ითხოვა მხარდაჭერა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერეკლე მეორეს ქ. N5“ -ს ქალაქ მარნეულში, ერეკლე მეორეს ქუჩა N5-ში მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნილებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები ი.მ. „თორნიკე ეგრისელაშვილი“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 766 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობა - 01/2-400 კვ.მ, 02/1-23 კვ.მ, 03/1-23 კვ.მ, 04/1-15 კვ.მ, 05/1-14 კვ.მ).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N04. 13.01.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.